



2025 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-მარტის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
აპრილი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 6,651.1 მლნ ლარი

100.5%

3 თვის
გეგმის

24.1%

წლიური
გეგმის

გადასახდელები - 6,393.9 მლნ ლარი

94.3%

3 თვის
გეგმის

22.9%



წლიური
გეგმის

ნაშთის ცვლილება
257.2 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
446.2 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
-155.8 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



გადასახადების სტრუქტურა





ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,560.8 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-მარტში მიღებული შემოსულობები 6,651.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 24.1%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 334.9 მლნ ლარით (5.3%-ით) აღემატება.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელებს წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,941.7 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-მარტში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 6,393.9 მლნ ლარს (წლიური გეგმის 22.9%) შეადგენს, რაც 640.5 მლნ ლარით (11.1%-ით) მეტია წინა წლის 3 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა^[1] განსაზღვრულია 6,619.0 მლნ ლარით, ხოლო 3 თვეში მიღებული შემოსულობები გეგმის 100.5%-ს შეადგენს. შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის მიმართ, ყველა კომპონენტი, გარდა ვალდებულებების ზრდისა, გადაჭარბებით გამოირჩევა. კერძოდ: შემოსავლები გეგმის 102.1%-ს შეადგენს, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები - შესაბამისად, 100.9%-ს და 174.0%-ს, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, შესრულების დაბალი (83.1%-იანი) მაჩვენებლით ხასიათდება.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 6,780.8 მლნ ლარის ოდენობით, 3 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი გეგმის 94.3%-ს შეადგენს. რაც შეეხება 3 თვის გეგმის შესრულებას გადასახდელების კომპონენტების მიხედვით, 3 თვის გეგმის შესრულების მხრივ, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება და შესაბამისად, 95.6%-ს და 98.8%-ს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს დაბალი მაჩვენებელი (75.3%) აქვს, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები გადაჭარბებით გამოირჩევა და 252.8%-ს აღწევს.

[1] „საქართველოს 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 3 თვეში, 446.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -155.8 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021-2025 წლების 3 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2025 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,386.2 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-მარტში მიღებული შემოსულობების და განეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვება 257.2 მლნ ლარს გაუტოლდა და 2025 წლის 1 აპრილისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,643.5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2021-2025 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მარტის მაჩვენებლები

2024 წლის მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 2,399.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 466.7 მლნ ლარით აღემატება თებერვლის მაჩვენებელს (ძირითადად, შემოსავლების, აგრეთვე, ვალდებულებების ზრდისა და არაფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობების მატების გავლენით), ხოლო წინა წლის მარტის მაჩვენებელზე 147.2 მლნ ლარით ნაკლებია. რაც შეეხება 2025 წლის მარტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა 2,117.7 მლნ ლარს შეადგენს, რაც თებერვლის მაჩვენებელზე 121.0 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2024 წლის მარტის მაჩვენებელს 292.6 მლნ ლარით აღემატება.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, 2023-2025 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება მარტში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და განეული გადასახდელების კომპონენტებს:


შემოსავლების სახით 2,065.4 მლნ ლარია მიღებული (შემოსულობების 86.1%), ვალდებულებების აღების შედეგად შემოსული სახსრები 280.4 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მაჩვენებლები, შესაბამისად, 53.2 მლნ ლარს და 0.9 მლნ ლარს უტოლდება.

შემოსულობები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




მარტში განეული ხარჯების მოცულობა 1,826.9 მლნ ლარს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები 165.4 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების მაჩვენებლები - შესაბამისად, 8.8 მლნ ლარს და 116.7 მლნ ლარს.

გადასახდელები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც მარტში მიღებული მთლიანი შემოსულობების 81.8% და შემოსავლების 95.0% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა, მარტში, გადასახადებიდან 1,962.6 მლნ ლარი მიიღო, თებერვლის მაჩვენებელზე 317.9 მლნ ლარით მეტი. წინა თვესთან შედარებით, ყველა სახის გადასახადი გაზრდილია (გარდა დღგ-ისა, რომლის სახითაც მიღებულია 14.2 მლნ ლარით ნაკლები). მოგებისა^[2] და საშემოსავლო გადასახადები მნიშვნელოვნად (შესაბამისად, 299.6 მლნ ლარით და 115.3 მლნ ლარით) მომატებულია, აქციზი 84.1 მლნ ლარით არის გაზრდილი (ძირითადად, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის მატების გავლენით), იმპორტის გადასახადი - 0.9 მლნ ლარით. რაც შეეხება სხვა გადასახადებს^[3] - აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 167.8 მლნ ლარით და 74.3 მლნ ლარს შეადგენს.

ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



ხარჯების სახით (რომელიც გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტია და მის 86.3%-ს შეადგენს), მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,826.9 მლნ ლარი გაიწია, წინა თვის მაჩვენებელზე 163.9 მლნ ლარით მეტი, რაც ყველა სახის ხარჯის (გარდა პროცენტისა, რომელიც 81.1 მლნ ლარით შემცირებულია) ზრდას უკავშირდება. კერძოდ, სუბსიდიები მომატებულია 54.4 მლნ ლარით, გრანტები - 48.4 მლნ ლარით, სხვა ხარჯები - 49.4 მლნ ლარით, საქონლისა და მომსახურების ხარჯები - 42.3 მლნ ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 46.2 მლნ ლარით, ხოლო შრომის ანაზღაურება - 4.3 მლნ ლარით.


რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2025 წლის მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 238.5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - 126.3 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მარტში მიღებული შემოსულობებისა (2,399.9 მლნ ლარი) და განუული გადასახდელების (2,117.7 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 282.2 მლნ ლარი შეადგინა.

[2] 31 მარტისთვის ხდება მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენა იმ პირთა მიერ, რომელთა საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი.

[3] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვანაგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის მაჩვენებელი კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2025 წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 6,651.1 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების ფორმირება, ძირითადად, შემოსავლებისა და აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების, შესაბამისად, 85.7%-ს და 11.1%-ს უტოლდება. შემოსავლები, ნომინალურ გამოხატულებაში, 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია, თუმცა მისი წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობებში შემცირებულია, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი, გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად შემოსულობებში. რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტებს, 2025 წლის იანვარ-მარტში, აღნიშნული შემოსულობების ჯამური წილი შემოსულობებში მცირეა და 3.2%-ს შეადგენს (2024 წელს 3.4%-ია, ხოლო 2023 წელს - 2.4%).




შემოსავლებს სახით, 3 თვეში, 5,700.4 მლნ ლარია მიღებული, 3 თვის გეგმის 102.1% და წლიური გეგმის 24.3%, წინა წლის მაჩვენებელზე 106.9 მლნ ლარით (1.9%-ით) მეტი. რაც შეეხება 3 თვის გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების მიხედვით, გადასახადები და გრანტები გადაჭარბებით გამოირჩევა, ხოლო სხვა შემოსავლები შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება.

იანვარ-მარტში მიღებული გადასახადები 5,428.5 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 102.3%-ს და წლიური გეგმის 24.8%-ს შეადგენს. ცალკეული სახის გადასახადის მიხედვით, 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 87.6% - 101.3%-ის ფარგლებშია (მ.შ. აქციზი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი - ყველაზე მაღალი შესრულების მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 3 თვის გეგმა 130.0 მლნ ლარით არის განსაზღვრული, ფაქტობრივად კი 339.5 მლნ ლარია მიღებული. 2024 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გადასახადები 216.1 მლნ ლარით (4.1%-ით) გაზრდილია, რაც საშემოსავლო, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების (შესაბამისად, 16.7%-ით, 32.2%-ით და 7.6%-ით) მატებას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 186.8 მლნ ლარით (13.4%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-მარტში, დღგ-ის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 1,872.8 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 133.0 მლნ ლარით (7.6%-ით) მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და განუვლი მომსახურებიდან დღგ გაზრდილია 37.9 მლნ ლარით, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან - 95.1 მლნ ლარით). წინა წელთან შედარებით, აქციზი 4.8%-ით (24.8 მლნ ლარით) შემცირებულია, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან აქციზის მნიშვნელოვანი, 30.6 მლნ ლარით შემცირების გავლენით, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან კი 5.7 მლნ ლარით მომატებულია (მ.შ. იმპორტირებული ბენზინის დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავალი 12.1 მლნ ლარით, 15.2%-ით გაზრდილია).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2024-2025 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების მაჩვენებელი (59.4 მლნ ლარი) მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 3 თვის გეგმის 120.8%-ს და წლიური გეგმის 29.7%-ს შეადგენს. რაც ძირითადად, დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 3 თვეში მიღებულია 16.2 მლნ ლარი, აგრეთვე, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავლის (36.3 მლნ ლარი) გადაჭარბებით მიღებასთან (3 თვის გეგმის 103.8%). გარდა ამისა, ბიუჯეტში შემოსულია საინვესტიციო გრანტები, 6.9 მლნ ლარის ოდენობით (3 თვის გეგმის 48.4%).

სხვა შემოსავლები 212.5 მლნ ლარს უტოლდება, 3 თვის გეგმის მიმართ 5.1%-იანი უარყოფითი გადახრით ხასიათდება (ძირითადად, ჯარიმებიდან, აგრეთვე, საკუთრებიდან შემოსავლების საგეგმო მაჩვენებელთა დაბალი, შესაბამისად, 66.7%-იანი და 92.1%-იანი შესრულების გავლენით) და წლიური გეგმის 15.7%-ს შეადგენს. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, სხვა შემოსავლები 51.8 მლნ ლარით (19.6%-ით) შემცირებულია, რაც ძირითადად, დივიდენდებს უკავშირდება (კერძოდ, სახელმწიფო ნილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან, წინა წლის იანვარ-მარტში, ბიუჯეტში 50.1 მლნ ლარი ჩაირიცხა, 2025 წელს კი მისი მიღება გათვალისწინებული არ არის). სხვა შემოსავლის ძირითადი ნაწილი (36.9%) საკუთრებიდან არის შემოსული (78.3 მლნ ლარის ოდენობით) და 33.6% (71.3 მლნ ლარის ოდენობით) - არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან.

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (70.6 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 100.9%-ს და წლიური გეგმის 23.5%-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 9.7 მლნ ლარით (16.0%-ით) აღემატება. აღნიშნული შემოსულობების 45.9% (32.4 მლნ ლარის ოდენობით) ძირითადი აქტივების რეალიზაციიდანაა მიღებული, 54.1% (38.2 მლნ ლარის ოდენობით) - არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან (მ.შ. 26.1 მლნ ლარი - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოვიდა, 12.2 მლნ ლარი - მიწის რეალიზაციიდან).

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 3 თვის გეგმის მიმართ 74.0%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 144.4 მლნ ლარს შეადგენს (წლიური გეგმის 36.1%), თუმცა წინა წლის მაჩვენებელს 8.1 მლნ ლარით (5.3%-ით) ჩამორჩება.


ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, 3 თვეში, 735.7 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 83.1%-ს (წლიური გეგმის 21.5%-ს) შეადგენს. მ.შ. თანხების ძირითადი ნაწილი შემოსულია საშინაო წყაროდან, კერძოდ, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების რეალიზაციისა და დაფარვის შედეგად მიღებული წმინდა შემოსულობა 612.9 მლნ ლარს (3 თვის გეგმის 95.9%) შეადგენს.

საგარეო წყაროდან თანხები მთლიანად საინვესტიციო კრედიტების სახით არის მიღებული და 122.8 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 50.0%-ს შეადგენს (ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში თანხები არ შემოსულა, თუმცა 3 თვის გეგმით 69.0 მლნ ლარია გათვალისწინებული).

	3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	735.7	83.1%	21.5%
საშინაო	612.9	95.9%	38.3%
საგარეო	122.8	50.0%	6.7%
საბიუჯეტო კრედიტები	0.0	0.0%	0.0%
საინვესტიციო კრედიტები	122.8	69.5%	10.0%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2025 წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 6,393.9 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 82.2%-ის ოდენობით, ხარჯებზე მოდის, რომელიც როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში, 2023-2024 წლებთან შედარებით, გაზრდილია. კერძოდ: 2023 წლის იანვარ-მარტში, ხარჯების წილი გადასახდელებში 80.9%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის იანვარ-მარტში - 78.4%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2025 წლის იანვარ-მარტში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 10.5% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 2.1% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 5.2%. 2024 წლის იანვარ-მარტში, მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 15.0%-ის, 1.1%-ის და 5.5%-ის ოდენობებით, ხოლო, 2023 წლის იანვარ-მარტში - 12.5%-ის, 0.5%-ის და 6.1%-ის ოდენობებით.



მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, ხარჯებმა 5,254.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის გეგმის 95.6% და წლიური გეგმის 24.1%-ია. 3 თვის გეგმასთან მიმართებით, სხვა ხარჯების (102.1%), სოციალური უზრუნველყოფისა (101.0%) და პროცენტის (100.7%) მუხლები გადაჭარბებით გამოირჩევა, ხოლო საქონლისა და მომსახურების (80.2%), სუბსიდიების (85.3%), შრომის ანაზღაურების (90.5%) და გრანტების (90.6%) მუხლები შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება. ხარჯების მოცულობა, 2024 წლის 3 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 742.1 მლნ ლარით (16.4%-ით) გაზრდილია, რაც დაკავშირებულია ხარჯების თითქმის ყველა კომპონენტის (გარდა სუბსიდიების) მატებასთან, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით განეული ხარჯების მნიშვნელოვანი (306.9 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.


პროცენტის მუხლით განეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (542.6 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართა 342.3 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 200.3 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (2,153.4 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (1,547.5 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (472.8 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (95.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2024-2025 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (672.6 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 75.3%-ს და წლიური გეგმის 15.8%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (249.9 მლნ ლარი) და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (111.0 მლნ ლარი) მიიმართა. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა, აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (56.4 მლნ ლარი), განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (46.7 მლნ ლარი), თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (39.6 მლნ ლარი), საზოგადოებრივ წესრიგსა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავებაზე (35.2 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (24.4 მლნ ლარი) და იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (23.8 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (132.8 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 252.8%-ს და წლიური გეგმის 31.3%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები გადანაწილებულია თავდაცვის სამინისტროზე (87.1 მლნ ლარის ოდენობით), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე (12.6 მლნ ლარის ოდენობით), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (6.7 მლნ ლარის ოდენობით) და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (26.3 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (334.3 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 98.8%-ს და წლიური გეგმის 23.6%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი ნაწილი, 324.2 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	334.3	98.8%	23.6%
საშინაო	10.1	77.7%	23.4%
საგარეო	324.2	99.6%	23.6%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 3 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 5 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 60 00) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- “მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა” (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- “სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი” (პროგრამული კოდი - 58 00) - 38.5 ათასი ლარის ოდენობით;
- “ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი” (პროგრამული კოდი - 59 00) - 25.3 ათასი ლარის ოდენობით;
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 28) - 15.4 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარ-მარტში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე 876.8 მლნ ლარი მიმართა, 3 თვის გეგმის 100.3% და წლიური გეგმის 27.8%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 282.3 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 95.8 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს, 186.1 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 0.3 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე 95.0 მლნ ლარი მიიმართა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 116.9 მლნ ლარის, 3.3 მლნ ლარის და 0.4 მლნ ლარის ოდენობით.

იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 5,926.8 მლნ ლარი შეადგინა (3 თვის გეგმის 92.8% და წლიური გეგმის 22.7%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები ფუნქციონალურ ჭრილში:


2025 წლის 3 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები ფუნქციონალურ ჭრილში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის გადასახდელებიდან (6,393.9 მლნ ლარი), მხარტავ დაწესებულებებზე 5,110.0 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 1,283.9 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 20.1%). თავის მხრივ, მხარტავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 4,863.4 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 76.1%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 246.6 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარტავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 3.9%).

2025 წლის 3 თვეში განწესი გადასახდელების სტრუქტურა (მლნ ლარი)



- სამინისტროები
- საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები
- სხვა მხარტავი დაწესებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის იანვარ-მარტში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 3 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121.0	45.8	33.5	73.0%	27.6%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	947.0	234.5	172.3	73.5%	18.2%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,125.0	405.2	477.7	117.9%	15.3%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	442.0	104.7	91.5	87.4%	20.7%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	8,820.0	2,208.8	2,199.3	99.6%	24.9%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	215.0	61.3	50.2	82.0%	23.4%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,730.0	598.7	526.1	87.9%	30.4%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,395.0	347.4	325.7	93.7%	23.3%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.1	203.4	190.1	93.4%	23.5%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	3,085.0	746.7	678.8	90.9%	22.0%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	297.6	80.3	45.1	56.2%	15.2%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	298.4	89.7	73.3	81.7%	24.6%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 33.5 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (121.0 მლნ ლარი) 27.6%-ს და 3 თვის გეგმის (45.8 მლნ ლარი) 73.0%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-მარტის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი აღემატება გასული, 2022-2024 წლების, ანალოგიურ მაჩვენებლებს. კერძოდ, 2022 წლის 3 თვის გადასახდელებმა 29.7 მლნ ლარი, 2023 წლის 3 თვის გადასახდელებმა 18.2 მლნ ლარი, ხოლო 2024 წლის 3 თვის გადასახდელებმა 26.4 მლნ ლარი შეადგინა.


მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 172.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (947.0 მლნ ლარი) 18.2% და 3 თვის გეგმის (234.5 მლნ ლარი) 73.5%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (172.3 მლნ ლარი) 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებზე მეტია, ხოლო 2022 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, შემცირებულია.


2025 წლის იანვარ-მარტში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 477.7 მლნ ლარია ათვისებული, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური მოცულობის (3,125.0 მლნ ლარი) 15.3%-ს და 3 თვის გეგმის (405.2 მლნ ლარი) 117.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, საანგარიშო პერიოდის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი (477.7 მლნ ლარი) აღემატება 2022 წლის მონაცემს, ხოლო 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება.


ფინანსთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



ეკონომიკის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 91.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (442.0 მლნ ლარი) 20.7%-ს და 3 თვის გეგმის (104.7 მლნ ლარი) 87.4%-ს უტოლდება.


იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვარ-მარტის გადასახდელები (91.5 მლნ ლარი), 2022-2023 წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით - შემცირებული.



2025 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების მესამედი (34.4%), 2,199.3 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (8,820.0 მლნ ლარი) 24.9%-ს და 3 თვის გეგმის 99.6%-ს შეადგენს.



აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (2,199.3 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.




საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-მარტში ათვისებული ასიგნებები 50.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (215.0 მლნ ლარი) 23.4%-ს და 3 თვის გეგმის (61.3 მლნ ლარი) 82.0%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (50.2 მლნ ლარი), 2022-2023 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო 2024 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, შემცირებულია.




საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 3 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 526.1 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,730.0 მლნ ლარი) 30.4%-ს და 3 თვის გეგმის (598.7 მლნ ლარი) 87.9%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-მარტის გადასახდელები (526.1 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2025 წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 325.7 მლნ ლარი აითვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,395.0 მლნ ლარი) 23.3%-ს და 3 თვის გეგმის (347.4 მლნ ლარი) 93.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 3 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (325.7 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 190.1 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.1 მლნ ლარი) 23.5%-ს და 3 თვის გეგმის (203.4 მლნ ლარი) 93.4%-ს უტოლდება.


მოცემული სამინისტროს, 2025 წლის 3 თვის გადასახდელები (190.1 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია.



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 3 თვის მაჩვენებელი 678.8 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (3,085.0 მლნ ლარი) 22.0%-ს და 3 თვის გეგმის (746.7 მლნ ლარი) 90.9%-ს შეადგენს.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (678.8 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.

განათლების სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 45.1 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (297.6 მლნ ლარი) 15.2%-ს და 3 თვის გეგმის (80.3 მლნ ლარი) 56.2%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 73.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (298.4 მლნ ლარი) 24.6% და 3 თვის გეგმის (89.7 მლნ ლარი) 81.7%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (118.4 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.

კულტურის სამინისტროსა და სპორტის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



*2025 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2025 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 3 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა*	2025 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 3 თვის ფაქტთან
შემოსულობები	6,316.2	27,560.8	6,619.0	6,651.1	100.5%	24.1%	5.3%
შემოსავლები	5,593.5	23,434.9	5,581.2	5,700.4	102.1%	24.3%	1.9%
გადასახადები	5,212.3	21,885.0	5,308.0	5,428.5	102.3%	24.8%	4.1%
საშემოსავლო გადასახადი	1,605.4	7,369.0	1,849.0	1,873.5	101.3%	25.4%	16.7%
მოგების გადასახადი	620.8	3,070.0	850.0	820.9	96.6%	26.7%	32.2%
დღგ	1,739.8	8,136.0	1,884.0	1,872.8	99.4%	23.0%	7.6%
აქციზი	515.3	2,650.0	560.0	490.5	87.6%	18.5%	-4.8%
იმპორტის გადასახადი	31.8	150.0	35.0	31.3	89.5%	20.9%	-1.5%
სხვა გადასახადები	699.3	510.0	130.0	339.5	261.2%	66.6%	-51.4%
გრანტები	116.9	199.9	49.2	59.4	120.8%	29.7%	-49.1%
სხვა შემოსავლები	264.3	1,350.0	224.0	212.5	94.9%	15.7%	-19.6%
არაფინანსური აქტივების კლება	60.9	300.0	70.0	70.6	100.9%	23.5%	16.0%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	152.6	400.0	83.0	144.4	174.0%	36.1%	-5.3%
ვალდებულებების ზრდა	509.3	3,425.9	884.8	735.7	83.1%	21.5%	44.5%
საშინაო	248.6	1,600.0	639.2	612.9	95.9%	38.3%	146.5%
საგარეო	260.6	1,825.9	245.6	122.8	50.0%	6.7%	-52.9%
გადასახდელები	5,753.5	27,941.7	6,780.8	6,393.9	94.3%	22.9%	11.1%
ხარჯები	4,512.2	21,842.0	5,497.2	5,254.2	95.6%	24.1%	16.4%
შრომის ანაზღაურება	590.1	3,035.0	757.4	685.7	90.5%	22.6%	16.2%
საქონელი და მომსახურება	517.3	2,485.3	649.9	521.0	80.2%	21.0%	0.7%
პროცენტი	418.3	1,745.0	538.7	542.6	100.7%	31.1%	29.7%
სუბსიდიები	258.4	1,021.6	298.7	254.7	85.3%	24.9%	-1.4%
გრანტები	295.3	1,856.5	402.0	364.3	90.6%	19.6%	23.4%
სოციალური უზრუნველყოფა	1,846.5	8,446.3	2,133.0	2,153.4	101.0%	25.5%	16.6%
სხვა ხარჯები	586.3	3,252.3	717.5	732.4	102.1%	22.5%	24.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	861.0	4,258.9	892.7	672.6	75.3%	15.8%	-21.9%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	61.8	424.1	52.5	132.8	252.8%	31.3%	115.1%
ვალდებულებების კლება	318.5	1,416.7	338.4	334.3	98.8%	23.6%	4.9%
საშინაო	12.7	42.9	12.9	10.1	77.7%	23.4%	-20.8%
საგარეო	305.8	1,373.8	325.5	324.2	99.6%	23.6%	6.0%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	562.7	-381.0	-161.8	257.2			

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №434)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 3 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 3 თვის ფაქტთან
შემოსავლები	5,593.5	23,434.9	5,581.2	5,700.4	102.1%	24.3%	1.9%
გადასახადები	5,212.3	21,885.0	5,308.0	5,428.5	102.3%	24.8%	4.1%
გრანტები	116.9	199.9	49.2	59.4	120.8%	29.7%	-49.1%
სხვა შემოსავლები	264.3	1,350.0	224.0	212.5	94.9%	15.7%	-19.6%
ხარჯები	4,512.2	21,842.0	5,497.2	5,254.2	95.6%	24.1%	16.4%
შრომის ანაზღაურება	590.1	3,035.0	757.4	685.7	90.5%	22.6%	16.2%
საქონელი და მომსახურება	517.3	2,485.3	649.9	521.0	80.2%	21.0%	0.7%
პროცენტი	418.3	1,745.0	538.7	542.6	100.7%	31.1%	29.7%
სუბსიდიები	258.4	1,021.6	298.7	254.7	85.3%	24.9%	-1.4%
გრანტები	295.3	1,856.5	402.0	364.3	90.6%	19.6%	23.4%
სოციალური უზრუნველყოფა	1,846.5	8,446.3	2,133.0	2,153.4	101.0%	25.5%	16.6%
სხვა ხარჯები	586.3	3,252.3	717.5	732.4	102.1%	22.5%	24.9%
საოპერაციო სალდო	1,081.3	1,592.9	84.1	446.2	530.8%	28.0%	-58.7%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	800.1	3,958.9	822.7	601.9	73.2%	15.2%	-24.8%
ზრდა	861.0	4,258.9	892.7	672.6	75.3%	15.8%	-21.9%
კლება	60.9	300.0	70.0	70.6	100.9%	23.5%	16.0%
მთლიანი სალდო	281.2	-2,366.0	-738.6	-155.8	21.1%	6.6%	-155.4%
ფინანსური აქტივების ცვლილება	471.9	-356.9	-192.2	245.6	-127.8%	-68.8%	-48.0%
ზრდა	624.5	424.1	52.5	390.1	742.4%	92.0%	-37.5%
გალუბა და დეპოზიტები	562.7	0.0	0.0	257.2			
სესხები	61.8	421.7	50.1	45.7	91.2%	10.8%	-26.0%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	2.5	2.5	87.1	3556.8%	3556.8%	
კლება	152.6	781.0	244.8	144.4	59.0%	18.5%	-5.3%
გალუბა და დეპოზიტები	0.0	381.0	161.8	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	152.6	400.0	83.0	144.4	174.0%	36.1%	-5.3%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0			
გაღდებულებების ცვლილება	190.7	2,009.1	546.4	401.4	73.5%	20.0%	110.5%
ზრდა	509.3	3,425.9	884.8	735.7	83.1%	21.5%	44.5%
საშინაო	248.6	1,600.0	639.2	612.9	95.9%	38.3%	146.5%
საგარეო	260.6	1,825.9	245.6	122.8	50.0%	6.7%	-52.9%
კლება	318.5	1,416.7	338.4	334.3	98.8%	23.6%	4.9%
საშინაო	12.7	42.9	12.9	10.1	77.7%	23.4%	-20.8%
საგარეო	305.8	1,373.8	325.5	324.2	99.6%	23.6%	6.0%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	27,941.7	6,780.8	6,393.9	94.3%	22.9%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	109.3	27.3	19.2	70.2%	17.5%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	91.5	22.8	15.6	68.4%	17.0%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა	38.4	9.5	5.8	60.7%	15.0%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და პარლამენტის წევრების საქმიანობა	11.0	2.7	2.2	79.4%	19.9%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	42.2	10.6	7.7	72.4%	18.1%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	42.1	10.6	7.7	72.5%	18.2%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.0	0.0%	0.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	15.6	3.9	3.0	75.6%	19.0%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.2	0.1	63.4%	19.2%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.4	0.4	0.5	123.0%	34.6%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.0	3.4	1.0	30.2%	10.2%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	1.0	0.2	0.2	79.1%	19.8%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	29.0	8.7	5.6	64.3%	19.2%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	25.3	8.7	4.9	56.1%	19.3%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	129.1	14.2	9.5	67.1%	7.4%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	33.3	8.5	6.3	74.3%	19.0%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.3	0.7	0.4	58.6%	17.7%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	3.4	2.7	80.6%	21.5%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	80.8	1.6	0.1	4.0%	0.1%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.8	1.7	1.4	79.1%	20.0%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	20.8	5.0	3.9	77.1%	18.7%
09 00	საერთო სასამართლოები	164.5	35.8	28.0	78.3%	17.0%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	160.0	34.6	27.6	79.9%	17.3%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.5	1.2	0.4	33.0%	8.9%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	12.6	3.5	1.4	39.9%	11.2%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხორწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	0.4	0.3	77.3%	19.8%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.2	68.7%	18.4%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	0.4	0.3	70.8%	20.6%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.3	0.3	86.5%	22.6%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.2	76.2%	19.5%

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური ბიჯმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.3	90.1%	23.5%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.3	90.1%	23.0%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	0.5	0.3	58.5%	19.4%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.2	73.7%	19.2%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	226.0	59.4	45.8	77.2%	20.3%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	174.0	44.8	36.2	80.9%	20.8%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	48.4	12.8	9.1	71.2%	18.8%
